

24/12/2024



MES 4 24 0001648806

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 16 დეკემბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=88606720087>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;

ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;- ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;

რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი.

**სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი)
წარმომადგენლები:**

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ვერიკო ჭილაძე
- ირმა ღარიბაშვილი
- მანანა მახარაშვილი
- ალინა კუპრავა
- ვალერი ჯაჯანიძე
- ნინო თამაზაშვილი
- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- დავით კუპატაძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

რექტორი - ანზორ დიასამიძე;

ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერი - რუსუდან დიასამიძე.

შპს მსოფლიო განათლების აკადემია

დირექტორი - მარიია რომანოვა;

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნინო ბერელიძე;

სასწავლო პროცესის მენეჯერი - დემური გაგუა;

„სასტუმროს მომსახურების“ პროგრამის ხელმძღვანელი - თემური გვიჩიანი.

სსიპ კოლეჯი „აისი“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - მალხაზი ასლამაზაშვილი;

დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო დარგში - დავით პაპაშვილი;

ხარისხის მართვის მენეჯერი - ლელა ბერიაშვილი;

იურისტი - გვანცა პაკატილოვი.

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სოფლის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტისა და განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - ნანა ქაშაკაშვილი;
პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი - ნესტან ინასარიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით წასიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ნიკა გიგაური;
ენერგომენეჯმენტის უმაღლესი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - ქეთევან რუხაძე.

შპს თეგეტა აკადემია

დირექტორი - ოთარი სიხარულიძე;
დირექტორის მოადგილე - გიორგი ცინარიძე;
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო ერისთავი.

შპს პროფიუნტი

დირექტორის მოადგილე - იანდი შეყილაძე;
სასწავლო პროცესის და პროგრამების კოორდინატორი - ლელა ბიწაძე;
იურისტი - ნინო დარბაიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. საბჭოს ინფორმირება შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მისამართში ცვლილების შეტანის შესახებ;
2. „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს N1015166 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. „სსიპ კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის პირველი სექტემბრის N982235 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს თეგეტა აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს პროფიუნტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) 2024 წლის პირველი მაისის სხდომაზე განხილულ იქნა შპს "მარნეულის კოლეჯის" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით: „ფარმაცია (სააფთიაქო)“, „საექთნო განათლება“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“. აღნიშნული საბჭოს სხდომის ოქმში (N563738-23.05.24) დაფიქსირებულია, რომ საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტში. მონიტორინგის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 29 აგვისტო, მონიტორინგის ფორმად- დოკუმენტების გამოთხოვა და ცენტრის მიერ შესწავლა. დაწესებულებამ, მიმდინარე წლის 5 სექტემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში (შემდგომში ცენტრი) წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად (ცენტრში რეგისტრაციის N1069932-05.09.2024). კერძოდ, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, რომლის მიხედვით, ობიექტი შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. ასევე, დაწესებულებისგან წარმოდგენილ იქნა შენობის საევაკუაციო გეგმა, შეთანხმებული სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან. რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გადამოწმების შედეგად არ გამოვლენილა, დამატებით ექსპერტთა ჯგუფის შექმნის საჭიროება. ცენტრს მიზანშეწონილად მიაჩნია, საბჭოს მიეწოდოს ინფორმაცია შპს "მარნეულის კოლეჯის" მიერ მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს მხედველობაში.

პირველი საკითხი: საბჭოს ინფორმირება შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მისამართში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მისამართში ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია საბჭოს მიაწოდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელმა ანრიმ ცენტრს აცნობა მისამართის ცვლილების თაობაზე, რაც ეხებოდა ქუჩის სახელწოდების გადაკეთებას, შალვა ინასარიძის ქუჩას დაერქვა, დავით მამულაძის ქუჩა N29. აღსანიშნავია, რომ შენობა იმავე ადგილზეა და ადგილმდებარეობაც უცვლელი დარჩა, შეიცვალა მხოლოდ ქუჩის დასახელება. ამის თაობაზე დადგენილი წესის თანახმად, ეცნობა ცენტრის საგანმანათლებლო სერვისების სამსახურსაც და ასევე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, რომ აღნიშნული დაწესებულება რეესტრში

ზემოაღნიშნული მისამართით დაფიქსირდეს. იმ შემთხვევაში, თუ შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის სამომავლოდ რაიმე ადმინისტრაციული წარმოება ექნება, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საბჭოზე, შესაბამის გადაწყვეტილებაში, ასახავს უკვე ახალი მისამართი: „დავით მამულაძის ქუჩა N29. საკადასტრო ნომერი, ამონაწერი და ყველაფერი თან ერთვის დაწესებულების წერილს. ასე რომ დაწესებულებას ფორმალურობები მაქსიმალურად აქვს დაცული.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს მხედველობაში.

მეორე საკითხი: „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს N1015166 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, მიმდინარე წლის 13 და 18 სექტემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) შემოვიდა შპს "მსოფლიო განათლების აკადემიის" წერილები N1127243-13/09/24; N1154725-18.09.24 რომელშიც ასახულია, რომ "პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის "სასტუმრო მომსახურება" რეგისტრაციის შესახებ" ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2024 წლის 03 ივნისის N 614913 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2024 წლის 2 სექტემბრის N 1046199 ბრძანების საფუძველზე განახლდა "სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს "მსოფლიო განათლების აკადემიის" (შემდგომში აკადემია) დირექტორის 2024 წლის 6 სექტემბრის N01-01-001 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება "შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2024 წლის 12 აპრილის N 006 ბრძანებაში და აკადემიის სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულები, სასწავლო გეგმა, სასწავლო რესურსი და პროფესიული მასწავლებლების შესახებ ინფორმაცია) ჩამოყალიბდა განახლებული "სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა შეცვლილი "სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამის დანართებთან და მტკიცებულებებთან ერთად. "სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო

სტანდარტის განახლების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები და პროგრამის მოცულობა კრედიტებში შემდეგნაირია: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 74 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 104.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, არსებობს თუ არა სხვა მნიშვნელოვანი განსხვავებები ჩარჩო დოკუმენტსა და საგანმანათლებლო სტანდარტს შორის, მაგალითად, მატერიალური რესურსების კუთხით. ასევე, როდესაც დაწესებულებამ ახალი სასწავლო გეგმა შეიმუშავა, შემოწმდა თუ არა აღნიშნული საკითხები ცენტრის მიერ. განხორციელდა თუ არა შემოწმება უშუალოდ ცენტრის მიერ, თუ მოწვეული იყვნენ დარგის სპეციალისტები და მათი ჩართულობით მოხდა ეს პროცესი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, ცენტრის მიერ შემოწმდა ჩარჩო დოკუმენტსა და საგანმანათლებლო სტანდარტს შორის განსხვავება. დაწესებულებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული სწავლების კომპონენტი ხორციელდება ტერიტორიულად ახლოს მდებარე სასტუმროში, რომლის რესურსიც თავის დროზე შეფასდა და სრულად აკმაყოფილებდა სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მოთხოვნებს. ცენტრის დარგის ექსპერტების მიერ შესწავლილი სასტუმრო აღჭურვილი იყო სრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, შესაბამისად, ამ ეტაპზე რესურსების კუთხით ცვლილება არ განხორციელებულა. სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, მოხდა მისი შედარება მოდულებთან და მათთვის განსაზღვრულ საათებთან. ცენტრის მონიტორინგის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის თანახმად, დეტალურად იქნა შესწავლილი როგორც მოდულები და სასწავლო გეგმა, ასევე პროფესიული მასწავლებლების შესახებ ინფორმაცია. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი ადასტურებს, რომ ყველა კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია შეცვლილ საგანმანათლებლო სტანდარტთან. სამსახურის უფროსის განმარტებით, კვალიფიკაციის დასახელება იგივეა, პროგრამის სახელწოდებაც იგივეა. შეიცვალა მხოლოდ კრედიტები. სწავლების ფორმა კოოპერაციულია, მოცულობის მიხედვით ისევ კოოპერაციული ფორმა დარჩა და არ გადასულა დუალურის რეჟიმში.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართავს კითხვით პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებულია პრაქტიკის ობიექტზე გათვლილი საათების რაოდენობა, განხორციელდა თუ არა ხელშეკრულების შესაბამისი ცვლილება.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, საათების რაოდენობა არც საწყის ხელშეკრულებაში იყო მითითებული, ამდენად, ცვლილების საჭიროება არ დამდგარა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, რადგან მოდულების რაოდენობაც იგივე დარჩა ახალ პროგრამაში, არის თუ არა საგანმანათლებლო სტანდარტში იგივე მოდულები, იგივე დასახელებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მოდულებში მხოლოდ მცირე ცვლილებები განხორციელდა დასახელებებისა და შინაარსის კუთხით. ერთადერთი ახალი მოდული - მეწარმეობა, დაემატა პროგრამას, რომელიც ექსპერტებმა საათობრივ ბადაში შეიტანეს. ამ მოდულის განმახორციელებლის ხელშეკრულება და პირადი საქმე წარდგენილ იქნა სხვა დოკუმენტებთან ერთად. სხვა მხრივ, შინაარსობრივი ცვლილებები პრაქტიკულად არ

განხორციელებულა. რაც შეეხება ხელშეკრულებას, დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ სასტუმრო საქმეში ორი ძირითადი პრაქტიკული კომპონენტის მოდული არსებობს: „დაჯავშნის სისტემა“ და „სასტუმროს დასუფთავების სისტემა“. დაჯავშნის სისტემა დაწესებულების საკუთრებაშია, შეძენილია და მისი გამოყენება შესაძლებელია აკადემიის ტერიტორიაზე. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის პროცესში. სასტუმროს დასუფთავების კომპონენტთან დაკავშირებით, დაწესებულებას შენობა აღებული აქვს ქირავნობის ხელშეკრულებით, სადაც დეტალურადაა მითითებული დღეები და საათები, როდესაც სივრცე ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის დასუფთავების კომპონენტის განხორციელების მიზნით. დანარჩენი კომპონენტები სრულად აკადემიის განკარგულებაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვით, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს N1015166 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს N1015166 გადაწყვეტილებაში, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

მესამე საკითხი: „სსიპ კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის პირველი სექტემბრის N982235 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხეობა

- არა

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, მიმდინარე წლის 19 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) დარეგისტრირდა სსიპ კოლეჯი "აისი"-ს წერილი N1492788-19.11.24, რომელშიც ასახულია, რომ 2024 წლის 5 ივნისის ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის N625396 ბრძანებით განახლდა "სატყეო საქმის" პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ კოლეჯი "აისი"-ს დირექტორის 2024 წლის 19 ნოემბრის N02-01-313 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "აისი" დირექტორის 2017 წლის 14 აგვისტოს N02 -01-220 ბრძანებაში და დაწესებულების "სატყეო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ჩამოყალიბდა განახლებული "სატყეო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა შეცვლილი "სატყეო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ორ ლოკაციასთან მიმართებით (გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კაჭრეთი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა), შესაბამის დანართებთან და მტკიცებულებებთან ერთად (ინტეგრირებული, ზოგადი და დარგობრივი მოდულები, სასწავლო გეგმები ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სწავლებისთვის). "სატყეო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები. პროგრამის მოცულობა კრედიტებში განისაზღვრა შემდეგნაირად:

გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 90

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის -120

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის -118

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის -148

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 90

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის -120

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 118

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის -148

სატყეო საქმის პროგრამის შეცვლილ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა დამატებითი განმარტება წარმოადგინა, მისი თქმით, დაწესებულებამ შემოიტანა

საგანმანათლებლო სტანდარტზე დაფუძნებული პროგრამა, ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე, როგორც არაინტეგრირებული, ასევე ინტეგრირებული მიდგომით, ასევე შემოწმდა დანართის სახით წარმოდგენილი სასწავლო გეგმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოდულების კრედიტები შეიცვალა და გარკვეული მოდულები დაიყო ცალკეულ კომპონენტებად, რომლებიც ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. აღჭურვილობა შეესაბამება წინა ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს. შესაბამისად, კოლეჯს არ აქვს პრობლემა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსთან დაკავშირებით. ამასთან, შენარჩუნებულია წინა პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „სსიპ კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის პირველი სექტემბრის N982235 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განთლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის პირველი სექტემბრის N982235 გადაწყვეტილებაში, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 2**).

მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვერიკო ჭილაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 04 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე 2024 წლის 11 ნოემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №22ა.) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება ეხებოდა უკვე ავტორიზებული პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილებას, პროგრამის გადატანას ახალ შენობაში. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №91 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულება ახორციელებს უმაღლესი პროფესიულ/მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“. თავდაპირველად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №140 გადაწყვეტილებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა და განისაზღვრა 96 სტუდენტით. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის

ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია „ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიერ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.5 ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ქვეყანაში მოქმედი კანონებისა და ტექნიკური რეგლამენტების ცვლილებების, შემუშავებული სასწავლო რესურსების და დარგში მიმდინარე სიახლეების შესაბამისად მოახდინოს მოდულებში სასწავლო რესურსების განახლება.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მხრიდან სრულად იქნა გაზიარებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღწერილი გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ახორციელებს ახალ მისამართზე ქალაქი თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი, № 22ა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეესტრის ამონაწერის თანახმად 2024 წლის 1 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს 2034 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით სარგებლობაში გადაეცა აღნიშნულ მისამართზე არსებული ფართობი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ მფლობელობაში არსებული აღნიშნული ფართის მეორე სართულზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია A და B გარემო. გარდა ამისა, ფართში, ასევე, განლაგებულია ფოიეები, სტუდენტთა მოსასვენებელი/სარეკრეაციო/სამუშაო სივრცეები, სანიტარული კვანძები (მათ შორის ადაპტირებული), პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, ბიბლიოთეკა, შეხვედრების ოთახები, ადმინისტრაციული სივრცეები, არქივი. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით, ლიფტით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები და ზემოაღნიშნული ფართები აღჭურვილია საჭირო ავეჯით, მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამის ფუნქციონირებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადახდო დავალებები, ინვენტარიზაციის აქტი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სივრცეების ფიზიკური დათვალიერების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები აქტიურად იყენებენ ბიბლიოთეკას, სამუშაო და სამეცადინო სივრცეებს, მათთვის გამოყოფილ კომპიუტერებს და სხვა. პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთათვის ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა ინტერვიუების შედეგადაც დადასტურდა. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ 2024 წლის 4 ნოემბერს გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი

№481, რომელიც შეფასდა სტატუსით-შეესაბამება. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომია ადაპტირებული სანიტარული კვანძები.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების შენობები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსების უწყვეტ მიწოდებას კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები მარაგდება ქსელური ინტერნეტით. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, დაწესებულებაში საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების ანონიმური კვლევის შედეგად. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანა. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. “ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით აუდიტორიების გამოყოფის შესახებ” საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია A გარემო, AC გარემო და B გარემო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სამუშაო სივრცეები აღჭურვილია პრინტერითა და პროექტორით. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ კომპიუტერულ აუდიტორიას პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია საკმარისი გამტარიანობა. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა AC სასწავლო გარემო. აღნიშნულ სივრცეში განთავსებულია პროგრამით განსაზღვრული საჭირო მატერიალური რესურსი. მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ დაწესებულების საკუთრებაში არსებული პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება

შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში მიღება ხორციელდება არაუმეტეს 24 პროფესიული სტუდენტისა. საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან: შპს „ექსპერტს ფორ სოლუშენს“; შპს აი სი პი; შპს ჯეო სეიფთი; შპს ქართლის ქარის ელექტროსადგური; შპს საფკო; შპს „კოსი“; შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი; შპს „დეველორი“. მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ მემორანდუმში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 51 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 39 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ჰყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. ბიბლიოთეკარმა ინტერვიუებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ქვეყანაში მოქმედი კანონებისა და ტექნიკური რეგლამენტების ცვლილებების, შემუშავებული სასწავლო რესურსების და დარგში მიმდინარე სიახლეების შესაბამისად მოახდინოს მოდულებში სასწავლო რესურსების განახლება.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები რათა ექვეყნებ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულებების წარმომადგენლების მხრიდან დადასტურდა, რომ ისინი შეუფერხებლად ახორციელებენ აღნიშნული პროგრამის საწარმოო პრაქტიკის მოდულს, განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა და უზუსტობა არ გამოვლენილა, მათი მხრიდან იგეგმება პრაქტიკის კომპონენტზე მისაღების სტუდენტების რაოდენობის ზრდა. აღნიშნული ასევე დადასტურდა პრაქტიკის ჩანაწერებით, დღიურებითა და სტუდენტებთან გასაუბრებით. ექსპერტთა მხრიდან მემორანდუმების, ხელშეკრულებებისა და ინტერვიუს შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ დაწესებულების პრაქტიკის ობიექტებთან ურთიერთობა გამყარებულია შესაბამისი იურიდიული დოკუმენტაციით, რაც ხელს უწყობს და იძლევა შესაბამისი მიზნების მიღწევის გარანტიას. პროგრამის მიზნებისთვის

გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რა იყო დაწესებულების მიერ ახალ ფართზე გადასვლის მიზეზი.

ექსპერტის განმარტებით, წინა ფართი, სადაც ხორციელდებოდა პროგრამა, არ აკმაყოფილებდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს, და დაწესებულებას არ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა. გარდა ამისა, დაწესებულებას სურს ერთ ადგილზე განახორციელოს, როგორც პროფესიული, ასევე აკადემიური პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, გამიჯნულია თუ არა სასწავლო ფართი პროფესიული და აკადემიური სტუდენტებისთვის.

ექსპერტის განმარტებით, ფართი გამიჯნულია. სურათებში კარგად ჩანს, რომ თითოეული აუდიტორია არის ამ პროგრამისთვის გამოყოფილი და აღნიშნულია შესაბამისი სახელწოდებით. საერთოა, B სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, აქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პარტნიორი კომპანიები, მომავალში დაასაქმებენ პროფესიული სტუდენტებს.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას უკვე განხორციელებული აქვს პრაქტიკული კომპონენტი და მიღებული აქვს დადებითი გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები მესამე სტანდარტს არ აფასებდნენ, თავად კომპანიებმა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ დასაქმებულები ხშირად იტოვებენ პრაქტიკანტ სტუდენტებს სამუშაოდ. კონკრეტულ შემთხვევაში, კომპანიის წარმომადგენელი თავად იყო პროგრამის კურსდამთავრებული, რომელმაც დაიწყო მუშაობა, რაც ყველასთვის დიდი მოტივაცია აღმოჩნდა. დასაქმებულის მხრიდანაც იგრძნობოდა კმაყოფილება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სტუდენტი, მიუხედავად იმისა, რომ არ რჩება კონკრეტულ კომპანიაში, წარმატებით საქმდება სხვა ორგანიზაციებში და აქვს კარგი კარიერული წინსვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, პრაქტიკის განხორციელების როგორი მეთოდი აქვს დაწესებულებას. ერთ კომპანიაში ხდება სტუდენტების პრაქტიკის გატარება, თუ არსებობს როტაციის პრინციპი და სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა კომპანიებში გაიარონ პრაქტიკა.

დარგის ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული საკითხი განხილული იქნა, როგორც დაწესებულებებთან, ასევე კომპანიის წარმომადგენლებთან, ასევე ექსპერტებმა გამოითხოვეს სტუდენტების მიერ წარმოებული პრაქტიკის დღიური, სადაც ასახავენ თითოეული დღის საქმიანობას. დღიურები საკმაოდ შთამბეჭდავი და კარგად წარმოდგენილი იყო სტუდენტების მიერ.

ექსპერტის განმარტებით, პროგრამის განმახორციელებელთა შემადგენლობა უცვლელი დარჩა. მათი უმრავლესობა უშუალოდ მონაწილეობდა პროგრამის შემუშავების პროცესში და საფუძვლიანად იცნობდა მის შინაარსს. თითოეულმა წარმომადგენელმა მნიშვნელოვანი დრო და რესურსი დაუთმო პროგრამის შექმნას, რაც დაწესებულების მხრიდან დადებით მაჩვენებლად შეფასდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, რამ გამოიწვია რეკომენდაციის გაცემა მოდულებში სასწავლო რესურსების განახლებასთან დაკავშირებით.

დარგის ექსპერტის განმარტებით, ერთ-ერთ რეგულაციაში შევიდა ცვლილება. შესაბამისად, ვერ მოესწრობოდა ამ ცვლილების ასახვა სამ-ოთხ თვეში, მაგრამ სასურველი იქნება დაწესებულებამ გაითვალისწინოს მომავალში აღნიშნული საკითხი.

ექსპერტის განცხადებით, საკითხი ეხება მოდულებში ცვლილებების ასახვასა და რესურსების ნაწილის განახლებას. სწავლების პროცესში უკვე ხორციელდება თანამედროვე სტანდარტებისა და კანონმდებლობის მიწოდება და გაცნობა. აქცენტი კეთდება დოკუმენტური ჩანაწერების განახლებაზე და არა უშუალოდ სასწავლო პროცესის ცვლილებაზე. ეს ინფორმაცია დადასტურდა ექსპერტების მიერ სტუდენტებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად. დაწესებულებამ, ასევე წარმოადგინა დასტური რესურსების მიწოდების შესახებ, რაც შემოწმდა ექსპერტების მიერ. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა ექსპერტებს კითხვით, გაესაუბრნენ, თუ არა სტუდენტებს და მათთვის ხომ არ შექმნილა დისკომფორტი ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ექსპერტის განცხადებით, სტუდენტებს დისკომფორტი არ ჰქონიათ, პირიქით ძალიან დადებითი შეფასებები იყო, ლოკაციაზე არავის გამოუთქვამს რაიმე ნეგატიური, ძალიან მოსწონთ და საკმაოდ დადებითად აფასებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, რას აკეთებენ იმისთვის, რომ არ ჰყავდეთ ამდენი სტატუსშეჩერებული სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტები სტატუსის შეჩერებიდან მე-3 ან მე-4 წელს ყოველთვის აღიდგენენ სტატუსს. მათი შეფასებით, ეს მდგომარეობა უკავშირდება სტუდენტების დროის მენეჯმენტს - ისინი ცდილობენ დააბალანსონ სწავლა, ოჯახური ვალდებულებები და საზოგადოებრივი საქმიანობა. მოდულური სწავლების სისტემა მათ ამის შესაძლებლობას აძლევს. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება არ კარგავს ამ სტუდენტებს და მხოლოდ მცირე ნაწილი გადადის სხვა სასწავლებელში. დასაქმების მაჩვენებელი, დაწესებულების მიერ ჩატარებული ყოველწლიური შიდა კვლევების თანახმად, საკმაოდ მაღალია, რაც სწავლების მაღალ ხარისხზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას არ აქვს დიდი კვოტა და პროფესიული მიმართულების მასშტაბური სტრატეგია, მთავარი აქცენტი კეთდება ხარისხზე. შედეგად, დაცულია ბალანსი დასაქმებულ და კვალიფიციურ კადრებს შორის. თუ სტუდენტები ვერ ახერხებენ სწავლის შედეგების დადასტურებას ან აჭარბებენ დასაშვებ გაცდენებს, მათ ეძლევათ შესაძლებლობა შეიჩერონ სტატუსი და მოგვიანებით გააგრძელონ სწავლა. დაწესებულება აკონტროლებს ამ პროცესს და სტუდენტებს სთავაზობს დასაქმების მრავალფეროვან შესაძლებლობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბევრი სტუდენტი საწარმოო პრაქტიკის ბოლო მოდულის შემდეგ რჩება პრაქტიკის ობიექტზე სტაჟირებისთვის და შემდგომ საქმდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბევრი მათგანი ბრუნდება დაწესებულებაში როგორც მასწავლებელი, რაც ხსნის კვალიფიციური პედაგოგების სიმრავლეს. დაწესებულება ასაქმებს როგორც დარგის სპეციალისტებს, ასევე იმ პროფესიონალებს, რომლებსაც შეუძლიათ აკადემიური სფეროს წარმართვაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, უკავშირდება თუ არა სტატუსის შეჩერება უშუალოდ რომელიმე კონკრეტული მოდულის გავლის სირთულეებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მარკეტინგული კვლევის საფუძველზე ვერ გამოყოფს კონკრეტულ მოდულს პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით. მოდულების განხილვისას იკვეთება, რომ ისინი მრავალფეროვანია და განსხვავდება სირთულის მიხედვით. დაწესებულებაში სწავლობენ, როგორც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულები, ასევე სკოლადამთავრებულები, შესაბამისად, სხვადასხვა მოდული მათთვის სხვადასხვა დონეზეა დაძლეადი. დაწესებულება სტუდენტებს განუმარტავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ იმ მოდულებს, რომლებსაც აქვთ წინაპირობა, ვინაიდან მათი ვერ დაძლევა ავტომატურად გამოიწვევს რამდენიმე მომდევნო მოდულის შეჩერებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ს/კ: 204429341) “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 3)**.

მეხუთე საკითხი: შპს თეგეტა აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, მიმდინარე წლის 22-24 ოქტომბერს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე, ვიზიტი განხორციელდა შპს თეგეტა აკადემიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, დაწესებულებისა და მისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „სავალი ნაწილის შეკეთება“, „ძრავის შეკეთება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტის დროს შემოწმდა როგორც პსდ, ისე პარტნიორი ორგანიზაცია და მის მიერ გამოყოფილი სივრცე პრაქტიკული სწავლებისთვის. პსდ-ს მიერ ორგანიზებული იყო შეხვედრები ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კურსდამთავრებულებთან. მიმდინარე ეტაპისთვის პსდ-ს პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს. შპს „თეგეტა აკადემია“ საგანმანათლებლო საქმიანობა ახორციელებს 2013 წლიდან და აქტიურად ეწევა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობას ტექნიკური და ბიზნეს მიმართულებებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი მოიპოვა 2019 წელს (2019 წლის 17 იანვრის ავტორიზაციის საბჭოს №04 გადაწყვეტილება, ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №179 გადაწყვეტილება). ავტორიზაციის ვადაა 17.01.2025 წელი. პსდ-ს მოპოვებული აქვს ასევე არაფორმალური განათლების აღიარების უფლება (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 27 ნოემბრის ბრძანება MES 2 20 0001132242 შპს „თეგეტა აკადემიისათვის“ არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭების შესახებ). აქვს 3 ფილიალი თბილისში, ფოთსა და ბათუმში.

დაწესებულების საქმიანობის შესახებ საერთო სტატისტიკური მაჩვენებლები ასეთია: მიმდინარე პერიოდისთვის ახორციელებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის, პირველი კერძო კოლეჯია ავტოინდუსტრიაში, რომელმაც დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ბიზნესთან თანამშრომლობით. გრანტის ფარგლებში შემუშავებული აქვს 20 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომლებსაც ძირითადად ახორციელებს ბათუმისა და ფოთის მისამართებზე. აქვს 60-მდე აქტიური ტრენინგ მოდული, 900-მდე განხორციელებული ტრენინგი. ამ პერიოდისთვის, დაწესებულების ბოლო მონაცემებით, აკადემიის მომსახურება გავლილი აქვს 11 000-მდე მონაწილეს. მომსახურებით კმაყოფილების მაჩვენებელია - 97%. წარმოდგენილი

თვითშეფასებით დაწესებულებას სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებული ჰქონდა „სრული შესაბამისობით“, ექსპერტთა მიერ შეფასების გრადაცია უცვლელი დარჩა. ექსპერტთა მიერ გაიცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები. ავტორიზაციის ექვსწლიანი ციკლის განმავლობაში ამკარაა როგორც საკუთრივ შპს „თეგეტა აკადემიის“ განვითარების დინამიკა, ისე დარგობრივი მიმართულებით მისი წვლილი პროფესიული კადრის მომზადებასა და განვითარებაში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

(1) პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - პსდ-მ სასურველია, შიდა დოკუმენტაციის შემუშავებისას გამოყენებული გარე დოკუმენტების (სხვა ინსტიტუციების სტრატეგიული დოკუმენტები, საკანონმდებლო აქტები და ა.შ.) ცვლილების შემთხვევაში, პსდ-ს შიდა დოკუმენტაციაშიც გონივრულ ვადებში ასახოს შესაბამისი ცვლილებები.

(3) დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, იქ სადაც მოითხოვს ფინანსურ/მატერიალურ რესურსს დაგეგმილი ამოცანის/აქტივობის შესრულება, განისაზღვროს შესაბამისი საპროგნოზო ფინანსური რესურსი.

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

(1) პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - სასურველია, პსდ-მ გაითვალისწინოს და დანერგოს სამუშაო აღწერილობების გაცნობის გავრცელებული პრაქტიკა, უზრუნველყოს დოკუმენტის პერსონალის მიერ გაცნობა, რაც დადასტურებული იქნება ხელმოწერით. ამასთან უზრუნველყოფილი იქნეს 2 ეგზემპლარის გაფორმება, თითო ეგზემპლარი მხარეებისთვის.

(2) პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - პსდ-ს სტრუქტურა მოიცავს სამსახურებს, რომლებისთვისაც არაა იდენტიფიცირებული შესაბამისი საშტატო ერთეული. დებულებით განსაზღვრულია სამსახური და მხოლოდ ერთი პოზიცია. სასურველია, პსდ-მ ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის/სამსახურისთვის განსაზღვროს შესაბამისი, ერთზე მეტი პოზიცია, ან სტრუქტურაში დებულებით განსაზღვრული პსდ-ს ფუნქციების შესრულებისთვის გამოიყოს მხოლოდ პოზიციები (კომერციული პროექტების მენეჯერი, საქმისწარმოების სპეციალისტი/მენეჯერი).

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

(3) პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - პსდ-ს მიერ, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით, უცხოური ენის ფლობის მოთხოვნის განსაზღვრის შემთხვევაში სასურველია მიეთითოს მისი ფლობის დონე. ამასთან, პერსონალის პირად საქმეებში განთავსდეს ფლობის დონის შეფასების/დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება.

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

(3) პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით-
განმავითარებელი რეკომენდაცია - პსდ-მ სასურველია აწარმოოს პერსონალის განვითარების შესახებ სტატისტიკა, რომლიც მოიცავს ჩატარებული ტრენინგ/საათების, პერსონალის საერთო რაოდენობის, მიმართულებების, მათ შორის შიდა/გარე რესურსის ჭრილში და განვითარებაზე გაწეული რესურსების მაჩვენებლებს/ანალიზს.

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

(1) პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - სასურველია:

- ნებისმიერი წყაროდან შემოსული დოკუმენტი (მატერიალურად, თუ ელექტრონულად წარმოდგენილი) დაექვემდებაროს რეგისტრაციას. ამასთან მატერიალურად შემოსული კორესპონდენციის ციფრული ვერსიები, ატვირთვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, ეს უზრუნველყოფს მათ ელექტრონულ რეგისტრაციასა და აღრიცხვის სანდოობას, რაც ასევე შეამცირებს რეესტრების მატერიალური ფორმით წარმოების რუტინას.

- მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, უწყისებს (ძირითადი, განმეორებითი შეფასების) რეგისტრაციისას მიენიჭოს უნიკალური ნომრები ინდივიდუალურად. რეგისტრაცია განახორციელოს მათ გაცემამდე. (დეტალური აღწერა იხ. ინდიკატორთან).

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

(7) პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - მიუხედავად იმისა, რომ პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებები ანალოგიურია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი კონცენტრაციებისა, მიზანშეწონილია კორექტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ა) „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ჩამოყალიბდეს „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ან „ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

ბ) „ძრავას შეკეთება“ ჩამოყალიბდეს „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ ან „ავტომობილის ძრავას შეკეთება“.

გ) „სავალი ნაწილის შეკეთება“ - ჩამოყალიბდეს „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ ან „ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

(2) პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - **განმავითარებელი რეკომენდაცია**: მიზანშეწონილია აკადემიამ მოიძიოს დამატებითი განმახორციელებელი პირი მოდულისთვის „საზეინკლო საქმის საფუძვლები“.

(5) საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - **განმავითარებელი რეკომენდაცია**: მიზანშეწონილია, კორექტირდეს მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი და ასევე დაემატოს პსდ-ს საკუთრებაში არსებული სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

(1) პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - სასურველია პსდ-მ შეიმუშაოს კალენდარული გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო, მეთოდოლოგიური მითითებები პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

(1) პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - **განმავითარებელი რეკომენდაცია**: მიზანშეწონილია, შემფასებელი პირის სუბიექტურობის გამორიცხვის/პრევენციის მიზნით, გადაიხედოს საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სკალა/ქულები.

(2) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - **განმავითარებელი რეკომენდაცია**: მიზანშეწონილია:

- პსდ-ს ვერიფიკატორთა ჯგუფის შექმნა იყოს დოკუმენტურად უზრუნველყოფილი (გამოიცეს ბრძანება), სადაც აისახება ვერიფიკატორთა კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობას.

- ვერიფიკატორის მიერ შევსებულ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ჩეკ-ლისტებს თან ახლდეს იმ შეფასების ინსტრუმენტების ასლები, რომლებიც შეფასდა, კონკრეტულ შემთხვევაში მინიმუმ ის ნიმუშები, სადაც ვერიფიკატორის მიერ დაფიქსირდა შენიშვნები/გაიცა რეკომენდაცია.

- დაწესებულებამ უზრუნველყოს ორმაგი ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება ვალიდაციისას განხორციელდეს მინიმუმ ორი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმად დაწესებულების მიერ გაცემული რეკომენდაციები ნაწილი პსდ-ს მიერ გაზიარებულია და წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები. არგუმენტირებული პოზიციის წერილისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაკორექტირდა განმავითარებელი რეკომენდაციები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, თეგეტა აკადემიისთვის გამოყოფილი სივრცე მდებარეობს შენობის მე-3 სართულზე და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოყოფილია შემდეგი სივრცეები: A გარემო, აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, დაფით, პროექტორით, მასწავლებლის სამუშაო ადგილი, A/C გარემო აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, დაფით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, ლეპტოპი), პროგრამების შესაბამისი ტექნიკური რესურსით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსით, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყუთით, მონიტორით, B გარემო აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, დაფით, პროექტორით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით, C გარემო შენობის 0 სართულზე. აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებით, ხელსაწყოებით, ინსტრუმენტებით, მონიტორით, ლეპტოპით, პლანშეტებით, პირველადი დახმარების სამედიცინო ყუთით. მეცადინეობის თემატიკის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია პროფესიული კვოტის შესაბამისად განთავსდეს სკამები (სკამები აღჭურვილია საწერი დაფებით). ამავე სართულზე დამატებით გამოყოფილია ფართი (2 ოთახი), სადაც განთავსებულია მძიმე ტექნიკის სიმულატორი, მაგიდები, სკამები,

დაფა, სადემონსტრაციო დეტალები და მრავლები. ბიბლიოთეკა, აღჭურვილია ლეპტოპებით (10 ც.), ბეჭდვისა და ასლის გადამღები მოწყობილობით, მაგიდ-სკამებით, სტელაჟებით წიგნებისათვის. ადმინისტრაციული სივრცე-ღია ტიპის საოფისე სივრცე - 10 სამუშაო ადგილით, 2 ბეჭდვისა და ასლგადამღები აპარატი. თითოეული სამუშაო ადგილი აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერით/ლეპტოპით და შესაბამისი საკანცელარიო ნივთებით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. პსდ-ში კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით, ხორციელდება შესაძლო საფრთხეებისა და რისკების იდენტიფიცირება, იგეგმება მათი პრევენციის და მართვის ღონისძიებები, ასევე ფიზიკური ფაქტორების (ტემპერატურა, ტენიანობა, განათება) კვლევა. ტარდება ინსტრუქტაჟი და ტრენინგები შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, პსდ-ს შემუშავებული აქვს სტანდარტული ოპერაციების პროცედურები (SOP), რომლებიც უზრუნველყოფენ ნებისმიერ ინციდენტზე ან/და სხვა მასშტაბურ ავარიულ სიტუაციაზე სათანადო რეაგირებასა და ეფექტურად მართვას. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის, გარდა დუალურისა, პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, ხორციელდება საჭირო რესურსებს შეძენა სასწავლო პროცესის დაწყებამდე (მუხლი1). პერსონალის განმარტებით შესყიდვა ხორციელდება ასევე საჭიროების იდენტიფიცირებისას. პსდ-ს მიერ მუდმივად ხდება საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის მატერიალური რესურსის შესყიდვა, გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწყობილია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. პსდ აღჭურვილია ახალი, სათანადო პარამეტრების შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით. აკადემიის შენობაში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი, ასევე მხარდაჭერილია ინტერნეტის მიწოდება სადენით. კომპიუტერული ტექნიკის პარამეტრები და პროგრამული უზრუნველყოფა სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შესაბამისია. IT ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც პერსონალისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის. აკადემიას უწყვეტად მიეწოდება IT მხარდაჭერა, ნებისმიერ დროს როგორც თანამშრომელს, ისე სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დაუკავშირდეს IT სპეციალისტს და მიიღოს შესაბამისი დახმარება. პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს საკომუნიკაციო არხები/სისტემები, რომელთა მეშვეობითაც ახდენს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას. ესენია: Mc Teams; Zoom; Google Meet; Gmail; Facebook; e-Flow, სოციალური ქსელები. სტუდენტებთან კომუნიკაციისას უფრო აქტიურად იყენებს Facebook Messenger-ს, რომლის მეშვეობითაც, ნაკადებისთვის ინდივიდუალურად შექმნილ ჯგუფებში, ხდება ინფორმაციის და მასალების მიწოდება (აღნიშნულ გარემოებას ადასტურებენ კურსდამთავრებულები). აღნიშნულ ჯგუფებში გაწევრიანებული არიან როგორც სტუდენტები, ასევე განმახორციელებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. ვიზიტის დროს, რეესტრების გარდა შემოწმდა როგორც ადმინისტრაციული, ისე საკადრო საქმისწარმოების დოკუმენტები. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების რიგ პირად საქმეებში წარმოდგენილი განცხადებები არ მოიცავდა

რეგისტრაციის რეკვიზიტებს. ნებისმიერი წყაროდან შემოსული დოკუმენტი, იქნება მატერიალურად, თუ ელექტრონულად წარმოდგენილი, ექვემდებარება რეგისტრაციას, მ.შ. განცხადებები. ამასთან მატერიალურად შემოსული კორესპონდენციის ციფრული ვერსიები, აიტვირთოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, პსდ საქმისწარმოების პროცედურის შემოსული კორესპონდენციის სისტემაში აღრიცხვის წესის თანახმად. რაც უზრუნველყოფს ასევე მატერიალურად შემოსული დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაციასა და აღრიცხვის სანდოობას. აღნიშნული ასევე შეამცირებს, რეესტრების მატერიალური ფორმით წარმოების რუტინას. საქმისწარმოების წესის თანახმად, ასევე განსაზღვრულია უწყისების რეგისტრაციის წესი (საქმისწარმოების წესი, დანართი №1, პ.7) რაც საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობაა. წესის თანახმად, „უწყისით გაფორმებული შეფასება ძალაში შედის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირისთვის ჩაბარების და მის მიერ უწყისის რეგისტრაციაში გატარების მომენტიდან (პ.3)“ და „შეფასების მტკიცებულებები და ინსტრუმენტები ინახება პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, ხოლო უწყისები ინახება უვადოდ (პ.6), რაც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა აღნიშნული საკითხი რეგულირდება ასევე პსდ-ს დირექტორის 2024 წლის 2 ივლისის №565 ბრძანებით დამტკიცებული შპს "თეგეტა აკადემიის" პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებისა და შეფასების წესის“ ახალი რედაქციის დანართით 1.3. „უწყისის შევსების და რეგისტრაციის წესი“, სადაც მე-4 პუნქტი, შეფასების ძალაში შესვლის შესახებ, იდენტური შინაარსისა საქმისწარმოების დანართის მე-3 პუნქტის, ხოლო მტკიცებულებების შენახვის შესახებ განსაზღვრული ვადები ამ უკანასკნელში ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისია, კერძოდ: „პ.6 შეფასების მტკიცებულებები და შეფასების ინსტრუმენტები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები ინახება უვადოდ“ (პ.6.), რისი პრაქტიკაც რეალურად აქვს პსდ-ს. შესაბამისად, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს პსდ-ში არსებული რეალური პრაქტიკითა და ბოლო თარიღით გამოცემული დოკუმენტით. რაც შეეხება შეფასების ძალაში შესვლას, უწყისის რეგისტრაცია ან რეგისტრაციაში არ გატარება ვერ შეცვლის სტუდენტის შეფასების შედეგს, ამასთან, უწყისების რეგისტრაცია გავრცელებული პრაქტიკით ხდება მისი შემფასებელ პირზე გადაცემამდე და არა შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ. გარდა ამისა, წარმოდგენილ შეფასების უწყისებში იყო ასევე განმეორებითი შეფასების უწყისები, რომლებსაც ძირითადი უწყისების იდენტური ნომრები ჰქონდა (მაგ. შეფასების უწყისი №004, მოდული „ტრანსმისიის კლასიფიკაცია - 0711908“ განხორციელების პერიოდი: 27.12.2022-18.01.2023). მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, მაშინ როდესაც მოდულის/სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურებისთვის გაიცემა ახალი დოკუმენტი, განმეორებითი გამოცდის უწყისი, რეგისტრაციისას სასურველია მათთვის ინდივიდუალურად უნიკალური ნომრების მინიჭება და დოკუმენტების რეგისტრაცია, მათი გაცემისას, შემფასებელ პირზე გადაცემამდე. ამასთან სასურველია, პსდ-მ ასევე უზრუნველყოს დოკუმენტებში შეფასების ძალში შესვლის პუნქტის შინაარსის ცვლილება.

ექსპერტის განცხადებით, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით შეტანას. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი გეგმების წლიური ანგარიშებისა და ფინანსური ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმებისთვის სრულად არაა გაწერილი ფინანსური რესურსი, შესაძლებელია დადასტურება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმების შესრულება. ამის დასტურია ასევე ყოველწლიური ანგარიშები, შესრულებული აქტივობების რაოდენობა და წარმოდგენილი 2019-2024 წლების

ფინანსური შემოსავლების პოზიტიური დინამიკა. 2024 წელს წინა წელთან შედარებით შემოსავლების ფაქტობრივად 50%-იანი ზრდაა. რაც დაწესებულების მენეჯმენტის განმარტებით განპირობებულია საგრანტო პროექტითა და მის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებითა და მათი წარმატებით განხორციელებით, როგორც თბილისში, ისე რეგიონში - ფოთსა და ბათუმში. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შესაბამისობაშია პსდ-ს მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან, რომელთა ძირითადი ორიენტირებია საავტომობილო მიმართულებით კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადება. დაწესებულების მიერ ჩატარებულ ბაზრის კვლევით დასტურდება, რომ პსდ-ს სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კვლევაში მკაფიოდაა გამოკვეთილი საჭიროება ელექტრო და ელექტრონული სისტემების შემკეთებელზე. კვლევებით მოთხოვნა ფიქსირდება, როგორც დამსაქმებელთა, ისე სწავლის მსურველთა მხრიდან, რასაც ასევე ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო ჯამში რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მორგებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დამსაქმებელთა საჭიროებებზე. პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს იმ უნარებს რაც ხელს უწყობს შრომის ბაზარზე წარმატების მიღწევაში. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2023 წლის შრომის ბაზრის ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობით -დასაქმების პლატფორმის HR.ge-ის ანალიზით, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ელექტრო და ელექტრონული სისტემის შემკეთებელი, მექანიკოსებისა და შემკეთებლების მიმართულებით ვაკანსიების განთავსების მაჩვენებელი ბაზრის წილის- 68%-ია. საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განხორციელება უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე პერსონალით - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 9 დარგობრივი მოდულების, რომელთა ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, ხორციელდება დუალური მიდგომით და შესაბამისად სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. პსდ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განხორციელება წარმოებს დუალური მიდგომით, რაც თავისთავად მოითხოვს პსდ-ს საკუთრებაში შესაბამისი გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას, ასევე პარტნიორი ორგანიზაციის მზაობას გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორები, შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა პროფესიული სტუდენტების კვოტის ფარგლებში. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია წარმოდგენილია პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრულ ოდენობაზე გაცილებით მეტი სამუშაო ადგილით და შესაბამისი აღჭურვილობით. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 10 ინსტრუქტორი. აკადემიის ბაზაზე წარმოებს პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების სწავლება, რისთვისაც დაწესებულების საკუთრებაში არსებობს ზღვრული

ოდენობის შესაბამისი A გარემო, B გარემო და AC გარემო, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. თითოეული გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე (15 სამუშაო ადგილი). საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით და არ საჭიროებს C გარემოს. პსდ მის არსებობას მაინც უდიდესი მნიშვნელობას ანიჭებს პროფესიული სტუდენტისთვის უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობის გაცნობისა და მასთან შეგუებისთვის საწარმოში სწავლების/მუშაობის დაწყებამდე. რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის დუალური მიდგომით განსახორციელებლად საჭირო რესურსს, დაწესებულებას ამ მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს „თეგეტა მოტორსთან“, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო საწარმოს მიერ განსახორციელებელი სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ სამუშაო გარემოში. შპს თეგეტა მოტორსს ამ ეტაპზე არ აქვს სასწავლო საწარმოს სტატუსი და არც მოეთხოვება, რამდენადაც, დღევანდელი რეგულაციით, „პირის მიერ სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 სექტემბრის №451 დადგენილების - თავი III. გარდამავალი დებულებები - სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვება სავალდებულოა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად მიღებული „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის“ მიხედვით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამის თანაგანხორციელების მიზნისთვის.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამის ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივი - 9. რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის მოდულებს, მათ განსახორციელებლად პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილია 10 ინსტრუქტორი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ძრავის შეკეთება“

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს მიერ განხორციელდა, ჰიბრიდული ან/და ელექტრომობილების მიმართულებით სერვისების საჭიროებათა კვლევა, რომელიც ჩატარდა 2019 წლის დეკემბერსა და 2020 წლის იანვარში. კვლევაში მონაწილეობისთვის შეირჩა საქართველოს ოთხი რეგიონის, კერძოდ თბილისში, ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში მდებარე საავტომობილო სერვისცენტრები. სამიზნე ჯგუფებში ჩატარდა შერეული ტიპის კვლევა, რომელიც მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივი მეთოდებს/კვლევას. კვლევისას გამოიკვეთა, რომ ძრავის მექანიკოსის მიმართულება აქტუალურია საავტომობილო სერვისებში. რესპონდენტების მიერ დასახელა საავტომობილო სერვისების ყველა მიმართულებით ხელოსნების ნაკლებობა („ელექტრომობილების მექანიკოსი“, „ჰიბრიდების მექანიკოსი“, „ძრავის მექანიკოსი“, „სავალი

ნაწილის მექანიკოსი“). დაწესებულების დაკვეთით, შრომის ბაზრისა და სატრანსპორტო სფეროში არსებული დამსაქმებლების მოთხოვნათა შესახებ, ჩატარებული კვლევის მიხედვით, სატრანსპორტო სფეროში დასაქმების თვალსაზრისით, დამსაქმებლებისა და დასაქმებულების მიერ დასახელებული პრიორიტეტული პროგრამებიდან ერთ-ერთია „ძრავის ხელოსანი“. კვლევის შედეგად, დარგში დეფიციტური და მოთხოვნადი პროფესიები რიგითობის მიხედვით შემდეგი პრიორიტეტულობით დასახელდა: 1. ელექტრიკოსი, 2. ძრავის ხელოსანი, 3. სავალი ნაწილის ხელოსანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების მიმართულებით, კვალიფიციური კადრების საჭიროება არსებობს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 15 დარგობრივი მოდულების, რომელთა ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების. პსდ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, რაც თავისთავად მოითხოვს პსდ-ს საკუთრებაში შესაბამისი გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას. პროგრამის განხორციელებისთვის პსდ-ს გამოყოფილი აქვს შემდეგი სივრცეები: A გარემო, B გარემო და AC გარემო (სასწავლო/პრაქტიკული სივრცე. C გარემო, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. თითოეული გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე (15 სამუშაო ადგილი). საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შპს „თეგეტა აკადემია“-ს გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით. C გარემოში განთავსებულია აკადემიის საკუთრებაში არსებული სასწავლო ავტოსატრანსპორტო საშუალება, რამდენიმე სახეობის ძრავა, ძრავას ამოსაღები და განსათავსებელი მოწყობილობები და შესაბამისი იარაღების კომპლექტის რამდენიმე ერთეული, გარემო აღჭურვილია უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებებით.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების სწავლება მიმდინარეობს აკადემიის ბაზაზე შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებლების მიერ. მოდულების განხორციელებაში ჩართულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივი - 9. რაც სრულად საკმარისია სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის დოკუმენტს თან ერთვის პროგრამის ბიუჯეტი, რომლის თანახმად განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია. ხარისხის მართვის მენეჯერმა

წარმოადგინა პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 35-ს კონტინგენტის 90%-მა. გამოკითხულთა 85% კმაყოფილია კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებით და მომსახურებით. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - „ძრავის შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სავალი ნაწილის შეკეთება“

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ ჩატარებულ ბაზრის კვლევით დასტურდება, რომ 35-ს სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კვლევაში მკაფიოდაა გამოკვეთილი საჭიროება სავალი ნაწილის შემკეთებელ სპეციალისტებზე. მოთხოვნა ფიქსირდება, როგორც სწავლის მსურველთა, ასევე დამსაქმებელთა მხრიდან. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2023 წლის შრომის ბაზრის ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობით დასაქმების პლატფორმის HR.ge-ის ანალიზი აჩვენებს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსებისა და შემკეთებლების მიმართულებით ვაკანსიების განთავსების მაჩვენებელი ბაზრის წილის- 68%-ია (მიმართულების შესაბამისად). 35-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, რაც თავისთავად მოითხოვს 35-ს საკუთრებაში შესაბამისი გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას. პროგრამის განხორციელებისთვის 35-ს გამოყოფილი აქვს შემდეგი სივრცეები: A გარემო, B გარემო და AC გარემო (სასწავლო/პრაქტიკული სივრცე), C გარემო, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. თითოეული გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე (15 სამუშაო ადგილი). საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - 35-ს მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სავალი ნაწილის შეკეთება“ განსახორციელებლად აუცილებელი რესურსების ნუსხა, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - საგანმანათლებლო პროგრამას „სავალი ნაწილის შეკეთება“ წარმოდგენილია არჩევითი მოდულების გარეშე. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - „სავალი ნაწილის შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შპს „თეგეტა აკადემია“-ს გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსის არსებობა და შესაბამისობა მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. შედეგად დგინდება, რომ 35-ს მიერ მოთხოვნილი 15 პროფესიული სტუდენტისთვის მის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად უზრუნველყოფს მოცემულ პროგრამაზე დუალური მიდგომით სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და მაღალი ხარისხით განხორციელებას. C გარემოში განთავსებულია აკადემიის საკუთრებაში არსებული სასწავლო ავტოსატრანსპორტო

საშუალება, ავტომობილის ტრანსმისიის ელემენტების ჩამოსაღები დგარი და შესაბამისი იარაღების კომპლექტის რამდენიმე ერთეული, გარემო აღჭურვილია უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის „საჭით მართვის მექანიზმის და გამაძლიერებელი სისტემების სერვისი“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელია ავტომობილის თვლების შეყრის კორექტირების აპარატის არსებობა, რაც პსდ-ს სასწავლო გარემოში არაა. აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული ნივთის შესახებ იჯარის ხელშეკრულება(№24.10.2024/01). აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე პსდ-ს უფლება აქვს, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას, გამოიყენოს თვლების შეყრის კორექტირების აპარატი ავტორიზაციის ვადით.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მოდულების განხორციელებაში ჩართულია 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივი - 5. რაც სრულად საკმარისია სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროფესიული მოდულების „საზეინკლო საქმის საფუძვლები“ და „ზოგადი ელექტრონიკის საფუძვლები“ სწავლებას წარმართავს ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს მოდულის განმახორციელებელი მეორე პირის შერჩევა. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების გარემოებები, ესენია: გარე ან შიდა მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება-აღდგენის, სსმ/შშმ პირის სტატუსის არსებობისა და ისგ საჭიროების აუცილებლობის შემთხვევები. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის დოკუმენტს თან ერთვის პროგრამის ბიუჯეტი, რომლის თანახმად განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (10 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სავალი ნაწილის შეკეთება“ ფინანსურად მდგრადია. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, მათ დახვდათ ახალგაზრდა მოტივირებული გუნდი, რომელიც ორიენტირებულია საკუთარი დაწესებულების წარმატებაზე, აქცენტები შეიძლება დასკვნაში სათანადოდ ვერ გაკეთდეს და ემოციური ფონი არ ჩანდეს, თუმცა აშკარა იყო იმის დემონსტრირება, რომ კორპორატიული ღირებულებები, ოფიციალურად დეკლარირებული აქვს დაწესებულებას. 2023 წელს თეგეტა აკადემიაში გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა. 2024 წელს საბჭოს მიერ ჩანიშნული, ორი ტიპის მონიტორინგი იყო ბოლო წარმოებები,

რომელთა მსვლელობისას ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები დაფიქსირდა. ბოლო მონიტორინგის დასკვნა იყო აბსოლუტურად დადებითი, რადგან დაწესებულებას ყველა ის შესაბამისობის, თუ განმავითარებელი რეკომენდაცია ასახული და გაზიარებული ჰქონდა საკუთარ საქმიანობაში. ამან გარკვეულწილად განაპირობა ეს წარმატება და მენეჯმენტი ნამდვილად ორიენტირებულია განვითარებაზე და ინოვაციების დანერგვაზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, არის თუ არა დაწესებულებისთვის აქტუალური ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და რამდენად მოიაზრება ისინი დაწესებულების სტრატეგიულ ან სამოქმედო გეგმაში.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მხრიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლობები არსებობს, რაც დაწესებულების მხრიდან აქტიურად ხორციელდება, დაწესებულება ფაქტობრივად ამას ემსახურება. ადამიანური რესურსების ნაწილში ექსპერტებს გამოტანილი აქვთ ძალიან ბევრი ვიზიტი. როგორც ადმინისტრაციული, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ვიზიტები საერთაშორისო პარტნიორებთან მიმართული იყო მათი კვალიფიკაციის ამაღლებისკენ, თანამედროვე მიდგომების დანერგვისა და სერვისების გაუმჯობესებისკენ როგორც საგანმანათლებლო, ისე მომსახურების მიწოდების კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულების სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი ამოცანა სწორედ საერთაშორისო დაწესებულებებთან თანამშრომლობას მოიცავს, ამასთან, კომპანიების მიმართულებით საკითხები სათითაოდ არის გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რას იგულისხმება დაწესებულების ხედვაში დეკლარირებულ „უპრეცედენტო დასაქმებაში“, რამდენი პროცენტით არის განსაზღვრული ასეთი დასაქმება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას სხვა კოლეჯებთან შედარებით რაოდენობრივად ბევრი სტუდენტი არ ჰყავს, თუმცა, ვინც სწავლას წარმატებით ასრულებს თეგეტა მოტორსი აბსოლუტურად ყველას სთავაზობს სამუშაო ადგილს, მათ შორის დაწესებულებიდან გარიცხულ არადამაკმაყოფილებელი შედეგების მქონე სტუდენტებსაც. დაწესებულება ინახავს წარუმატებელი სტუდენტების ბაზას, რადგან მათ დააგროვეს რაღაც კომპეტენციები და მიუხედავად სასწავლებლიდან გარიცხვისა, ბიზნესი მაინც სთავაზობს დასაქმებას ასეთ ადამიანებს. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ბიზნესს ვერ შეეთავაზებინა რაიმე სტუდენტებისათვის. დაწესებულება სტუდენტებს დასაქმების შესაძლებლობას ასე პროცენტით აძლევს, ხოლო თვითდასაქმებულების მაჩვენებელი კი მხოლოდ ათი პროცენტია. აღსანიშნავია, რომ მომზადება-გადამზადების პროგრამებს დაწესებულება, როგორც თბილისში, ასევე ფოთსა და ბათუმში ახორციელებს, თუმცა მეტწილად ეს პროგრამები რეგიონების ფილიალებშია გატანილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა განხილულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ხარისხის ცენტრის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს როგორც ამ ვიზიტისთვის, ასევე ბოლო ორი წლის განმავლობაში თეგეტა აკადემიაში განხორციელებული ყველა აქტივობისთვის. აღინიშნა, რომ

დაწესებულებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა მონიტორინგების მიმართულებით და ბოლო ეტაპზე გაცილებით უკეთ იყო მომზადებული. დაწესებულება გეგმავს სრულად გაითვალისწინოს ცენტრის წარმომადგენლებისა და ექსპერტების რეკომენდაციები როგორც ამ პროგრამებზე, ისე დასავლეთში არსებულ მომზადება-გადამზადების პროგრამების ნაწილში. დაწესებულებისთვის ცნობილია, რომ პროგრამები საჭიროებს განახლებას. უნარების სააგენტოს მიერ დაწყებულ კვალიფიკაციების გადახედვის პროცესში დაწესებულების დირექტორი ჩართულია როგორც ექსპერტი. სამივე მიმართულებაზე მუშაობა დასრულების ფაზაშია. უკვე ჩატარდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა. დაწესებულებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პროგრამების დასახელებებში არსებული ხარვეზების გამოსწორებისა და ზოგად მოდულებზე ზედმეტად დიდი დროის დახარჯვის პრობლემის მოგვარების მიმართულებით. საბოლოო ანგარიში მზადდება ყველა მოდულსა და დასახელებაზე და მოსალოდნელია, რომ წლის ბოლომდე მოხდება მათი განახლება. დაწესებულების მხრიდან ყველა საჭირო სამუშაო შესრულებულია, დარჩენილია მხოლოდ ერთი შეხვედრა განმახორციელებლელთან, რომელიც მიმდინარე წელს უნდა ჩატარდეს. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ბევრი რამ უკვე გაკეთებულია და გამოთქვა იმედი სხვადასხვა მიმართულებით მომავალი აქტიური თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს თეგეტა აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს თეგეტა აკადემიას (ს/კ: 405237122) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს თეგეტა აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 4**).

მეექვსე საკითხი: შპს პროფიუნიტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაც ილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 10 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს კოლეჯ „პროფიუნიტში“ და ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამთო ტექნიკოსი" 31-ე მუხლის - 2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესრულების შემოწმება. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 22, 23 და 24 ოქტომბერს შპს კოლეჯ პროფიუნიტში (ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. №29). ვიზიტი განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგია და დანერგილი პრაქტიკა. ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

III სტანდარტი

3.1.1.1 დაწესებულებას შემუშავებული და 2023 წლის 28 დეკემბრის დირექტორის N7/23 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა, მობილობის და აღდგენის“ წესი. აღნიშნულ დოკუმენტში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სტატუსი შეიჩეროს 3 წლის ვადით, ხოლო შეწყვეტის ერთი-ერთ საფუძველად ფიქსირდება სტატუსის შეჩერებიდან 3 წლიანი ვადის გასვლა. 2020 წლის 2 სექტემბრის დირექტორის N32/20 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „პროფიუნიტის“ შინაგანაწესი, სადაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია 1 წელი. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (2024 წლის 15 იანვრის N02/24) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია 3 წელი. როგორც

ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, დაწესებულებას არ აქვს ასახული მარეგულირებელი დოკუმენტებში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის N1985 ბრძანების ბოლო ცვლილება (13.12.2022). სადაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია 5 წელი. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის პრაქტიკა, ყველა მათგანის საფუძველია პირადი განცხადება.

ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, პროფესიული სტუდენტის უფლება არ იყო დაცული სტატუსის შეჩერების ვადასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები პასუხისმგებელი პირები და რესურსები. როგორც გეგმიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა მარეგულირებელი დოკუმენტების გადამუშავებაზე. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 1 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილი შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

IV სტანდარტი

4.1.1.2 კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „პროფიუნიტის სტრუქტურის/პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ განსაზღვრული საშტატო ერთეულები არ არის შესაბამისი დაწესებულების სტრუქტურაში მოცემული პოზიციებისა. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ადმინისტრაციული პოზიციებიდან გარკვეული ნაწილი იყო ვაკანტური. გარდა ამისა, ხელშეკრულებით არ იყო აყვანილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი, ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალისტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მართვის კომპონენტი შეთავსებული აქვს მდივან ოპერატორს, რომელიც ასევე არის ბიბლიოთეკარი. დირექტორის მოადგილე არის ხარისხის მართვის მენეჯერი და 12 სექტემბრიდან მინდობილობით ასრულებს დირექტორის მოვალეობებს. ის ჩართულია ან/და ხელმძღვანელობს ყველა მიმდინარე პროცესს, შესაბამისად დაწესებულებაში ვერ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფა (ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიცია ვაკანტურია აპრილის თვიდან). დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით ირკვევა რომ დაწესებულებას გამოცხადებული აქვს კონკურსი ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიციაზე, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა გასაუბრებები შესაბამისი კანდიდატის შესარჩევად. დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის მართვის რეგულაცია და პოლიტიკა (2020 წლის 27 აგვისტოს №23/20) სადაც პერსონალის მოზიდვის, აყვანისა და შემდგომ ადაპტაციაზე პასუხისმგებელია ყველა თანამშრომელი და უშუალო უფროსი. შესაბამისად ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი არ არის განსაზღვრული დაწესებულებაში. შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. როგორც გეგმიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა. ვაკანტური ადგილების

შესავსებად მიმდინარეობს კანდიდატთა შერჩევის პროცესი, მიმდინარეობს მუშაობა სამსახურობრივი უფლება-მოვალეობების გამიჯვნაზე არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრისა და არსებულ შტატებზე დასაქმებულ პირთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 2,5 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

4.1.1.3 დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 2 მარტის N11/22 ბრძანებით დამტკიცებულია (უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია 2023 წლის 31 ოქტომბრის N58/23) „პროფიუნიტის სტრუქტურის/ პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის კოორდინატორი. ხარისხის მართვის მენეჯერი ამავდროულად არის დირექტორის მოადგილე, ხოლო ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიცია ვაკანტურია აპრილის თვიდან. ხარისხის მართვის მენეჯერი არის დირექტორს მოადგილე და ამავდროულად 2024 წლის 12 სექტემბრიდან მინდობილობით ასრულებს დირექტორის მოვალეობას, შესაბამისად ჩართულია ან/და ხელმომწერია დაწესებულებაში ყველა მიმდინარე პროცესებში დაწესებულებაში ვიზიტის დროს გადამოწმდა არსებული პრაქტიკა, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში პროცესში მონაწილედ ფიგურირებს ხარისხის მართვის მენეჯერი, მაგალითად გამოცემულია დირექტორის 2022 წლის 15 მარტის N11/22 ბრძანება საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის თაობაზე, სადაც კომისიის თავმჯდომარეა დირექტორის მოადგილე/ხარისხის მართვის მენეჯერი ი.შ. დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით ირკვევა რომ დაწესებულებას გამოცხადებული აქვს კონკურსი ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიციაზე, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა გასაუბრებები შესაბამისი კანდიდატის შესარჩევად. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ჩართულია კოლეჯში მიმდინარე პროცესებში და შესაბამისად ვერ შეძლებს ობიექტურად შეაფასოს და შეიმუშაოს განვითარების რეკომენდაციები. შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. როგორც გეგმიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა . მიმდინარეობს ხარისხის მართვის კოორდინატორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატთა შერჩევის პროცესის ორგანიზება და ასევე, დაწესებულება აქტიურად მუშაობს დირექტორის მოადგილისა და ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურობრივი უფლება-მოვალეობების გამიჯვნაზე არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

4.2.1.1 დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №23/20, 27.08.2020წ. დამტკიცებულია „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია“, დოკუმენტის მერვე პუნქტით განსაზღვრულია პერსონალის საქმიანობის შეფასება, რომლის მიზანია პერსონალის კარიერული განვითარება, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება. ამისთვის დაწესებულება ახდენს პერსონალის კომპეტენციების შეფასებას ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები, ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას ამ დრომდე პერსონალის საქმიანობის შეფასება არ განუხორციელებია. აგრეთვე არ ჩატარებულა პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი გამოკითხვა საჭიროებათა დადგენის მიზნით. შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. არსებული კითხვარების ფორმების გადამუშავება/განახლება; 2. პერსონალის მართვის პოლიტიკისა და რეგულაციის შესაბამისად პერსონალის საქმიანობის შეფასების განხორციელება შესაბამისი კითხვარებით; 3. პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის გამოკითხვების ჩატარება წინასწარ შემუშავებული კითხვარებით საჭიროებათა დადგენის მიზნით. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

4.2.1.2 დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები“, რომლის მიხედვითაც დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს პერსონალის საჭიროებების კვლევას და შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი განვითარების რეკომენდაციების შემუშავებას. დაწესებულებას ამ დრომდე არ განუხორციელებია პერსონალის საჭიროებების კვლევა, შესაბამისად არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა, თუმცა დაწესებულებაში ვიზიტისას პსდ-მ წარმოადგინა მტკიცებულებები პერსონალის სხვადასხვა ტრენინგებსა და ვორქშოპებში მონაწილეობის შესახებ. შესაბამისად ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. პერსონალის საჭიროების კვლევის ჩატარება; 2. კვლევის შედეგების ანალიზი; 3. პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

V სტანდარტი

5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. დაწესებულებას აქვს შპს „საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა და მდგრადობის დადგენის მიზნით, რომლითაც ირკვევა კოლეჯის შენობა მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. ამავე დროს დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 28 ოქტომბრის №2549373 და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის, სახანძრო - ტექნიკური შემოწმებების აქტი №93 (28.10.2020წ.), საიდანაც ირკვევა, რომ კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. შენობა 4 სართულიანია და მხოლოდ 2 სართული შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის ხელახალი შემოწმებ და შემოწმების შედეგების მიხედვით შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების დაგეგმვა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 18 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

5.1.2.2 დაწესებულებას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ (ბრძანება №27/20, 31.08.2020წ) აღნიშნული წესის მეხუთე პუნქტით განსაზღვრულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარი, რომლებიც მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე ინახება. თუმცა კოლეჯს უკვე რამდენიმე თვეა აღარ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან, შესაბამისად, დაწესებულებაში არ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: ექთნის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად შერჩევის პროცესის ორგანიზება; ექთანთან ხელშეკრულების გაფორმება, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის ამოქმედება დაწესებულების მიერ გაწერილი პროცედურების შესაბამისად. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 2 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის

რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

5.1.2.3 დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 36/20, 09.10.2020წ, სადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის და შტაბის წევრთა ფუნქციური მოვალეობები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის შეტყობინებების სქემა. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, ნაცვლად კომპეტენტური ორგანოსი/ პირისა. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: კომპეტენტური/ შესაბამისი სანებართვო პირობების მქონე ორგანიზაციის მოძიება და შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება. ასევე, აღნიშნული გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 12 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

5.2.1.2 პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. დაწესებულებას საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მიზნით შემუშავებული აქვს დოკუმენტი „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა“ დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება №29/20, 01.09.2020წ. თუმცა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე არ იყო დასაქმებული IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ამდენად, ზემოაღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული პროცესები პრაქტიკაში არ განხორციელებულა. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებამ უნდა განახორციელოს შემუშავებული IT რისკების მართვის, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკით განსაზღვრული პროცესები. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

5.2.1.3 კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 6 მაისის №08/21 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“, რომელიც შემუშავებულია „პერსონალურ

მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი მიზანი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მათი დაცვაა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც, თუმცა დაწესებულებას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (ძალაშია 2024 წლის 1 მარტიდან), აუცილებელია, რომ ჰყავდეს. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებამ უნდა განახორციელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მომსახურებისათვის აუთოსორსული მომსახურების განმახორციელებელი ორგანიზაციის მოძიება და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

5.2.1.4 კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს №25/20 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები“ (ცვლილება: კოლეჯის დირექტორის ბრძანება №09/24; 05.03.2024წ.), რომლის შესაბამისადაც, კოლეჯი უზრუნველყოფს ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვებს. გამოკითხვების ფორმები მოიცავს შესაბამის შეკითხვებს IT რესურსების საკმარისობის და რელევანტურობის შესახებ. თუმცა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე არ იყო დასაქმებული IT სპეციალისტი. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ამდენად, IT ტექნიკის, პროცესების გამართულობა პრაქტიკაში ექსპერტთა ვიზიტამდე არ განხორციელებულა. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებამ უნდა განახორციელოს პრობლემური ტექნიკის და პროცესების იდენტიფიცირება, სისტემური პროცესების პრობლემების იდენტიფიცირება, ტექნიკური და სისტემური გამართულობის უზრუნველყოფი ღონისძიებების განხორციელება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 4 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის

რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

5.3.1.1 კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დაწესებულების შემოსავლები უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით. დაწესებულება ახორციელებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამებს სამთო მიმართულებით. აღნიშნული პროგრამების დასახელებულია პრიორიტეტულად და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის დადგენილი აქვს დამატებითი საფასური. ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან „გორგიან მანგანეზში“ ფინანსდებიან კომპანიის მიერ. სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშიდან ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების განსახორციელებლად, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯის ყოფილ ბუღალტერთან, რომელსაც წვდომა ჰქონდა კოლეჯის საბუღალტრო პროგრამასთან, კომუნიკაცია ვერ მოხერხდა, ვერ იქნა წარმოდგენილი დაწესებულების საფინანსო დოკუმენტაცია. ამდენად, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრალობა. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ კოლეჯში მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან დასაქმებულმა ბუღალტერმა შეადგინოს დაწესებულების ბიუჯეტი, რითაც დადასტურდება დაწესებულების ფინანსური მდგრალობა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

5.3.1.2 კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დაწესებულების შემოსავლები უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით. დაწესებულება ახორციელებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამებს სამთო მიმართულებით. აღნიშნული პროგრამების დასახელებულია პრიორიტეტულად და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის დადგენილი აქვს დამატებითი საფასური. ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან „გორგიან მანგანეზში“ ფინანსდებიან კომპანიის მიერ. სავარაუდოა, რომ საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. ვიზიტის დროს, დაწესებულებას 1 თვის წინ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება ბუღალტერთან, რომელსაც არ ჰქონდა წვდომა საბუღალტრო დოკუმენტაციასთან და შესაბამის პროგრამასთან შესაბამისად საფინანსო დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრალობა. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ კოლეჯში მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან დასაქმებულმა ბუღალტერმა შეადგინოს დაწესებულების ბიუჯეტი, რითაც დადასტურდება დაწესებულების ფინანსური მდგრადობა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 3 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

5.3.1.3 დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა ფინანსური დოკუმენტაცია, ამდენად, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა და მისი შეფასება. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია, რომ უნდა მოხდეს არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციის შეგროვება, აკუმულირება. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

II სტანდარტი

2.4.2.1 დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. მე-4 მუხლში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტში სავალდებულო ინფორმაცია და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები. დაწესებულების მხრიდან არასწორად არის გაგებული შეფასების პროცესის ადმინისტრირება, როგორც ტერმინები, ასევე პროცესი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა არ ითვალისწინებს ვალიდაციას. მეთოდოლოგიაში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ნაცვლად ვალიდაციისა. ვალიდატორის ნაცვლად ფიქსირდება ვერიფიკატორი.

გარდა ამისა, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. შეფასების ინსტრუმენტს ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არც ერთი შეფასების ინსტრუმენტი არ არის ვალიდური, შიდა დარგის ვერიფიკატორად განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი. შეფასების ინსტრუმენტში არ არის შეფასების შედეგებისათვის გამოყოფილი გრაფა. შეფასების მტკიცებულებების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებები თეორიული კომპონენტის შემთხვევაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ტესტების სახით შეფასების ინსტრუმენტის ფორმის გარეშე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტისას არსებული შეფასების სისტემა არ იყო ვალიდური. შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის

უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გათვალისწინებულ შეფასების პროცესში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება; 2. შეფასების პროცესის სწორად ადმინისტრირება; 3. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია; 4. ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება შეფასების პროცესში. 5. შეფასების ინსტრუმენტის გადამუშავება; 6. შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების პროცესში არსებული ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 1 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

2.4.2.2 დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციების“ მიხედვით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია. ვერიფიკაციის პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც კოლეჯი ვერიფიკაციას უნდა ახორციელებდეს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. აღნიშნულ წესში ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2024 წლის 5 მარტის N09/24 ბრძანებით, სადაც ვერიფიკაციის პროცესი გაწერილია სწორად, თუმცა დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა ხარისხის მართვის მენეჯერის 2024 წლის ვერიფიკაციის დასკვნა, სადაც მოკლედ, ნარატიულად არის აღწერილი რომ შეფასება ჩატარდა განსაზღვრულ დროს, მოხდა პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება, წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო შესაფასებლად. დაწესებულების მიერ ჩატარებული ვერიფიკაცია არ არის შესაბამისობაში კოლეჯის მიერ გაწერილ მეთოდოლოგიასთან. ვერიფიკაციის პროცესის მომზადებისას არ არის გაწერილი გეგმა, თითოეული პროგრამის ფარგლებში შერჩეულია ერთი მოდული, თუმცა არ არის განსაზღვრული რისკ ფაქტორები რის მიხედვით შეირჩა აღნიშნული მოდულები. ვერიფიკაციის დასკვნა არ მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ვიზიტისას ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმით განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები: 1. ვერიფიკაციის განხორციელება დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად; 2. ვერიფიკაციის პროცესის მომზადების გეგმის შედგენა; 3. მოდულის შერჩევისას რისკ ფაქტორების გათვალისწინება; 4. ვერიფიკაციის დასკვნის სრულყოფა. დაწესებულებას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქვს 1 თვის ვადა და სტანდარტის მოთხოვნა შეფასებული აქვს როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული

გეგმის მიხედვით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრმა, დავით ჯინჭარაძემ, დატოვა საბჭოს სხდომა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

I სტანდარტი

1.1 მე-3 ინდიკატორი - კოლეჯის მისიიდან გამომდინარეობს ხედვა და ღირებულებები, თუმცა დაწესებულების ხედვაში არ იკვეთება რა დროში აპირებს ის დასახული მიზნის მიღწევას, პსდ-ს სტრატეგიულ გეგმაში მითითებულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ვადა თუმცა მნიშვნელოვანია, ხედვაშიც ფიქსირდებოდეს კონკრეტული დრო, ამიტომ დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია განახორციელოს ცვლილება ხედვაში და განსაზღვროს შესრულების დრო.

1.2.1. მე-3 ინდიკატორი - დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია ზოგიერთი ამოცანა და აქტივობა, რომელიც დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია და არა მიზნის მიღწევისთვის საჭირო ინსტრუმენტი, მაგალითად „სასწავლო პროცესის ხელშეწყობა“, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა“, ასევე სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნისა და ამოცანის შესრულების ვადად განსაზღვრულია - „წლის განმავლობაში საჭიროების მიხედვით“, აღნიშნულის მიხედვით დაწესებულებისთვის რთულია სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშის შედგენისას განსაზღვროს რა უნდა შესრულებულიყო კონკრეტული დროისთვის. რა შესრულდა და რომელი ამოცანის შესრულება გადავადდა წლის ბოლომდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს და განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.

IV სტანდარტი

4.1.2.2. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №23/20, 27.08.2020წ. დამტკიცებულია „შპს პროფიუნიტის პერსონალის მართვის პოლიტიკა და რეგულაცია“, ასევე შპს პროფიუნიტის შინაგანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების დადებისას წარსადგენი დოკუმენტები და პირობები. დამსაქმებლის გადაწყვეტილებით კანდიდატთა დასაქმება და მათთან შრომითი ხელშეკრულების დადება ხდება გასაუბრებით, ასევე შესაძლებელია კონკურსის წესით მიღება, რომლის დროსაც შექმნილი საკონკურსო კომისია კონკურსის პროცესს წარმართავს ობიექტურად, გამჭვირვალედ და სამართლიანად. დაწესებულის პრაქტიკა გულისხმობს პერსონალის მიღებას მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე. აღნიშნულ ორ დოკუმენტში დუბლირებულია პერსონალის მიღების, ხელშეკრულების გაფორმების, წარმოსადგენი დოკუმენტაციის, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურები. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, მოახდინოს აღნიშნული პროცესების კონსოლიდირება ერთ დოკუმენტში.

V სტანდარტი

5.2.3.1. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. ვებგვერდს, ისევე, როგორც დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია. ვებგვერდის მართვა დირექტორის ბრძანებით დავალებული აქვს მდივან-რეფერენტს. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ნაწილი გასაახლებელია, მაგალითად, მარეგულირებელი აქტები. ამდენად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პერიოდულად განაახლოს ვებგვერდზე არსებული სიახლეები და მარეგულირებელი დოკუმენტები.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა ხარვეზები მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტთან მიმართებით. შესაბამისად ასახა დასკვნის პროექტში ის ინდიკატორები, რომლებიც არ იყო შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმის დამტკიცების ბრძანება და შესაბამისობის გეგმა. კორესპონდენციაში ვკითხულობთ, რომ შპს კოლეჯი „პროფიუნიტი“ სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას და იდენტიფიცირებული შეუსაბამოების აღმოსაფხვრელად წარმოადგინა შპს „პროფიუნიტის“ დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №79/24 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული გეგმა, შეაფასა გეგმაში მოცემული აქტივობების, ვადებისა და რესურსების რელევანტურობა იდენტიფიცირებულ ხარვეზებთან. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და თვლის რომ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აღმოიფხვრება ზემოაღნიშნული შეუსაბამოები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოცემული ხარვეზები მოდიფიცირდა და ჩამოყალიბდა სტანდარტთა შესაბამისობის რეკომენდაციებად. დეტალური ანალიზი მოცემულია დასკვნაში.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებას შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის და შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვისა და მართვის მიზნით ჰყავს სერტიფიცირებული პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯი უზრუნველყოფს ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწყობილია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულებას აქვს შპს „საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა და მდგრადობის დადგენის მიზნით, რომლითაც ირკვევა კოლეჯის შენობა მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. ამავე დროს დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 28 ოქტომბრის №2549373 და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ობიექტის, სახანძრო - ტექნიკური შემოწმებების აქტი №93 (28.10.2020წ.), საიდანაც ირკვევა, რომ კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება

სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. შენობა 4 სართულიანია და მხოლოდ 2 სართული შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის #79/24 ბრძანებით. გეგმაში განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარი, რომლებიც მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე ინახება. თუმცა კოლეჯს უკვე რამდენიმე თვეა აღარ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან, შესაბამისად დაწესებულებაში არ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, ნაცვლად კომპეტენტური ორგანოსი/ პირისა. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მიზნით შემუშავებული აქვს დოკუმენტი „IT რისკების მართვა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის პოლიტიკა“ დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება №29/20, 01.09.2020წ. თუმცა დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდამდე არ იყო დასაქმებული IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, ამდენად, ზემოაღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული პროცესები პრაქტიკაში არ განხორციელებულა. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც, თუმცა დაწესებულებას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (ძალაშია 2024 წლის 1 მარტიდან), აუცილებელია, რომ ჰყავდეს. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, დაწესებულებას აქვს საკანცელარიო ჟურნალები, სადაც წარმოებს გამოცემული აქტებისა და შემოსული და გასული კორესპონდენციის, ხელშეკრულებების აღრიცხვა, რეგისტრაციის ჟურნალები ზონარგაყრილი, გადანომრილი და დალუქული შესაბამისი წესით, ბრძანებები და ხელშეკრულებები რეგისტრაციის ჟურნალებში გატარებულია. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის საშუალებით, შესაბამისი პროგრამის - „eflow“-ის მეშვეობით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დაწესებულების შემოსავლები უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით და საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურით. დაწესებულება ახორციელებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამებს სამთო მიმართულებით. აღნიშნული პროგრამების დასახელებულია პრიორიტეტულად და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის დადგენილი აქვს დამატებითი საფასური. ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან „გორგიან მანგანეში“ ფინანსდებიან კომპანიის მიერ. სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშიდან ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების განსახორციელებლად, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯის ყოფილ ბუღალტერთან, რომელსაც წვდომა ჰქონდა კოლეჯის საბუღალტრო პროგრამასთან, კომუნიკაცია ვერ მოხერხდა, ვერ იქნა წარმოდგენილი დაწესებულების საფინანსო დოკუმენტაცია. ამდენად, ექსპერტები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, შეესწავლათ დაწესებულების ბიუჯეტი და ფინანსური მდგრაობა. შესაბამისად, ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სამთო ტექნიკოსი“

ექსპერტის განცხადებით, შპს კოლეჯი პროფიუნიტი მდებარეობს ქ. ჭიათურაში და არის ორიდან ერთ-ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამთო მიმართულების პროგრამებს. დაწესებულების მისიიდან იკვეთება, რომ ის არის მონოპროფილური კოლეჯი და ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს რეგიონის მოთხოვნის შესაბამისად. პროგრამაზე მოთხოვნა მაღალია როგორც დამსაქმებლის, ასევე დაინტერესებული პირების მხრიდანაც. მიმდინარე წელს დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა მიღება 60 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო vet.emis.ge-ს სტატისტიკის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა 85 -მა აპლიკანტმა. ექსპერტების მიერ გადამოწმდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსის საკმარისობა და შესაბამისობა. დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსებით სრულად მიიღწევა პროგრამით დაგეგმილი ყველა სწავლის შედეგი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. ძირითადი პროფესიული 7 მოდულიდან მხოლოდ ერთი (შრომის უსაფრთხოება სამთო საწარმოებში) ხორციელდება A გარემოში ხოლო, დანარჩენი 6 მოდული A / C გარემოში . არჩევითი 4 მოდულიდან - 3 მოდული ხორციელდება A გარემოში, ხოლო ერთი (გვირაბების სამაგრი კონსტრუქციები) A და C გარემოში ერთად. A გარემო აღჭურვილია 30 პროფესიული სტუდენტისათვის, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, B გარემო - კომპიუტერული კლასი, B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა გამტარუნარიანობისათვის იფუნქციონირებს 2 ქვეჯგუფი ერთი პროგრამის ფარგლებში, შესაბამისად B სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობა უზრუნველყოფილია. სამთო ტექნოლოგიის კაბინეტები აღჭურვილია 24 პროფესიული სტუდენტისათვის, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. C გარემო - შპს „მადაროელის“ 2 მადარო და 9 მიწისქვეშა მომპოვებელი უბანი, თითოეულ უბანში შედის წმენდითი სანგრევი, სხვადასხვა ტიპის დანადგარები: საბურღი, კონვეიერი, ელექტროგამშვები აპარატურა, ადგილობრივი განიავების ვენტილატორები და ყველა ის მასალა-დანადგარი, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის მატერიალური რესურსით. თითოეული უბნის ფართი და ადამიანური რესურსი საკმარისია იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტმა

სრულყოფილად აითვისოს მოდულში მითითებული პრაქტიკული კომპონენტი. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულება წერილობით მიმართავს შპს „მადაროელის“ 3 პროფესიულ სტუდენტზე თითო ინსტრუქტორის გამოყოფის შესახებ. საპასუხოდ წარმოება დაწესებულებასთან შეთანხმებით გამოყოფს ინსტრუქტორებს და პრაქტიკული ნაწილის გავლისათვის შესაბამის ობიექტებს. ინსტრუქტორები დაწესებულებაში გადიან ტრეინინგებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და დაკვირვების საკითხებში. დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება შპს „მადაროელთან“ რომელმაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პრაქტიკული კომპონენტების სწავლებას და შეფასებას რომელიც განსაზღვრულია სასწავლო გეგმით მთელი პროგრამის განმავლობაში.

ექსპერტის განცხადებით, „სამთო ტექნიკოსის“ პროგრამისთვის განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია - 3 სამი + 1 (ერთი) ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 (შვიდი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სამთო ტექნიკოსი“ შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯვით ნაწილებს. ბიუჯეტით გაანგარიშებული პროგრამის რენტაბელობის ზღვარი დათვლილია 46 პროფესიულ სტუდენტზე. ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან „გორგიან მანგანეზში“ ფინანსდებიან კომპანიის მიერ. ბიუჯეტის მიხედვით, ძირითად ხარჯს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორთა ანაზღაურება, ასევე სასწავლო ხარჯები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ტიტე ბოლქვაძე, მიმართავს კითხვით ექსპერტს, როგორც რეკომენდაციაში ჩანს, დირექტორის მოადგილე პარალელურად ითავსებს ხარისხის მენეჯერის და დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებს მინდობილობით, ვის მიერ გაიცა აღნიშნული მინდობილობა და რამდენი ხანია, რაც ძალშია ეს დოკუმენტი.

ექსპერტის განცხადებით, მათი ვიზიტი განხორციელდა 22-24 ოქტომბრის თარიღებში, მინდობილობა გაცემული იყო ოფიციალურად ნოტარიუსით. 12 სექტემბრიდან უკვე ასრულებდა აღნიშნული პირი დირექტორის მოვალეობას და იყო ხელმძღვანელი დაწესებულების ხელმძღვანელი პირის ნაცვლად. უფლებამოსილება ჰქონდა 12 სექტემბრიდან. ხოლო ხარისხის მოადგილე და დირექტორი ერთდროულად ერთი წლის მანძილზეა.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართავს კითხვით ექსპერტს, იყენებს თუ არა დაწესებულება შენობის ყველა სართულს.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება ყველა სართულს არ იყენებს. მათი ვიზიტის დროს ფუნქციონირებდა მხოლოდ ორი სართული, თუმცა ავტორიზაციის გადაწყვეტილებაში მსგავსი ჩანაწერი, რომ დაწესებულება ორი სართულით არის ავტორიზებული და არა მთლიანი შენობით, არ მოიძებნება.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, ავტორიზაციის დასკვნის თანახმად, სახანძრო დასკვნა გაცემულია 2020 წელს, სადაც აღმოჩენილი იყო ხარვეზები. განხორციელდა თუ არა 2020 წლის შემდეგ რაიმე ღონისძიება ამ ხარვეზების გამოსასწორებლად.

ექსპერტის განმარტებით, სახანძრო დასკვნაში აღნიშნული ორი სართული აბსოლუტურად აკმაყოფილებდა სახანძრო პირობებს, თუმცა დამატებითი ორი სართული არ გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნით, რაც ხარვეზის საკითხს წარმოადგენდა. ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს და შეისწავლეს მოქმედი ორი სართული, რომლებიც სრულად იყო აღჭურვილი და ბოლომდე აკმაყოფილებდა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს. სამწუხაროდ, დოკუმენტში არსად იყო აღნიშნული, რომ სწავლა მხოლოდ ორ სართულზე მიმდინარეობდა. დაწესებულებამ აიღო მაქსიმალური ვადა. ექსპერტთა ვიზიტის დროს, როდესაც მათ შენიშნეს, რომ დოკუმენტი არ იყო შესაბამისი და მაშინვე დაიწყეს მოქმედება კომპეტენტური ორგანოს მოძიების მიზნით.

საბჭოს თავჯდომარე მიმართავს კითხვით დარგის ექსპერტს, არის თუ არა მოთხოვნა აღნიშნულ სპეციალისტებზე - „სამთო ტექნიკოსი“, „სამთო ელექტრომექანიკოსი“ და „მყარი წიაღისეულის გამდიდრების სპეციალისტი“.

დარგის ექსპერტის განმარტებით, რა თქმა უნდა, არის. ძალიან ბევრი ხარვეზი იქნა ჩამოთვლილი, მაგრამ ეს ხარვეზები ნამდვილად არ აკნინებს დაწესებულებას იმ თვალსაზრისით, რომ როგორც განმახორციელებელი მასწავლებლების საქმიანობა, ასევე პრაქტიკის ობიექტები არის უმაღლესი დონის. მაღაროში მომუშავე ახალგაზრდების უმეტესობა პროფიუნიტის კურსდამთავრებულია.

პროფესიული განათლების სამსახურის უზრუნველყოფის უფროსის განცხადებით, დაწესებულება ახორციელებს სამ პროგრამას. ეს პროგრამებია: „სამთო ტექნიკოსი“, „სამთო ელექტრომექანიკოსი“ და „მყარი წიაღისეულის გამდიდრების სპეციალისტი“. ზუსტად იგივე დასახელების სამი პროგრამა აქვს ტყიბულსაც, თუმცა მაღაროების სპეციფიკა განსხვავებულია. ორივე დაწესებულება ლოკალურად მორგებულია თავის რეგიონზე, შესაბამისად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დაწესებულებების შენარჩუნებას აღნიშნულ ტერიტორიებზე. ჭიათურის რეგიონი, მაღაროები და მადანი, რომელიც აქ მოიპოვება თავის დროზე ქვეყნის სავიზიტო ბარათი იყო, რადგან საუკუნეზე მეტია აღნიშნული წიაღისეული მხოლოდ ჭიათურაში მოიპოვებოდა და მიეწოდებოდა არამარტო ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, არამედ გადიოდა კიდევ ევროპაში. გამომდინარე აქედან, ამ სპეციალისტების მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თავის დროზე ჭიათურაში არსებობდა ორი პროფესიული სასწავლებელი, შემდეგ ორივე გაუქმდა და როდესაც დადგა აღდგენის საკითხი, სწორედ „ჯორჯიან მანგანუზის“ მომართვას დაეყრდნო პროფესიული სამსახური. შენობის გადაცემისთანავე კოლეჯს, ყველანაირად ხელს უწყობდნენ, როგორც პრაქტიკის ობიექტებით, ასევე შემდგომი დასაქმებით. არსებული თანამშრომლობა არის იმის გარანტი, რომ მართლაც კარგი სპეციალისტები მომზადდებოდა, ჩანდა კერძო სექტორთან თანამშრომლობის ძალიან მაღალი ხარისხი.

საბჭოს თავმჯდომარეს განცხადებით, ექსპერტების დასკვნას დაამატებდა კიდევ ერთ რეკომენდაციას, ყველაზე დიდი პრობლემები დაწესებულებას აქვს ადმინისტრაციული რესურსების ნაწილში, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა საკმარისი ადამიანური რესურსები და არ იყო შესაბამისად განვითარებული, ამიტომ კოლეჯმა აღნიშნულ პრობლემაზე აუცილებლად უნდა იზრუნოს და გაწერილი ვადები დაიცვას. სავსებით შესაძლებელია რეგულაციებში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ან ვერიფიკაციის შედეგები წარმოადგინოს, მაგრამ თავმჯდომარის აზრით, არ არის ეს ყველაფერი სიღრმისეულად გააზრებული დაწესებულების მხრიდან, რადგან ხარისხის კოორდინატორის პოზიციაზე ახალი კადრი ჰყავთ, რომელიც ამ მიმართულებით საჭიროებს ტრენინგების გავლას განვითარების მიზნით, ისევე როგორც ყველა ახალი და ძველი კადრი, რათა მიაღწიოს სასურველ და საჭირო შედეგს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია რეკომენდაცია გაიცეს ადამიანური რესურსების განვითარება კუთხით.

საბჭოს წევრი, ტიტე ბოლქვაძე, მიმართავს კითხვით ექსპერტებს, როგორ თვლიან, რამდენად შესაძლებელია აღნიშნული შედეგების მიღწევა გაწერილი დროის პერიოდში.

ექსპერტის განმარტებით, შესაბამისობის გეგმაში მოცემული ვადები, პირველ ეტაპზე ძირითადი სამუშაოს განხორციელებისათვის საკმარისია, რათა სტანდარტთან შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნული ინდიკატორები, თუმცა სანამ არ დასრულდება კონკრეტული მოდულები, ვერიფიკაციას მარტივად ვერ განახორციელებენ. საჭიროა დასრულდეს ერთი პროცესი, რომ დასაწყისისთვის შედეგი გამოჩნდეს. გაწერილი ვადები, ექსპერტების აზრით, ლოგიკური და გონივრულია.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართავს დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, როგორ აპირებს კოლეჯი აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტი საკმაოდ ნაყოფიერი და კოლეგიალური იყო. გამოვლენილ ხარვეზებს დაწესებულება ეთანხმება ყველანაირად. მათ გამოსასწორებლად შემუშავებულია შესაბამისობის გეგმა. აქედან გამომდინარე, კოლეჯი ჩაეტევა ვადებში და არსებული ხარვეზები აღმოფხვრილი იქნება გაწერილ დროში. ხარისხის კოორდინატორად დანიშნულია შესაბამისი პირი. ჩანიშნული ტრენინგები გადაიდო, მაგრამ სამომავლოდ ხელახლა იგეგმება ტრენინგების ჩატარება. აღსანიშნავია, რომ შერჩეულ კადრს განათლების ხარისხის მიმართულებითაც აქვს გამოცდილება და დაწესებულებას სჯერა, რომ აღნიშნულ ფუნქცია-მოვალეობას თავს ძალიან კარგად გაართმევს. ადამიანურ რესურსზე დაწესებულებამ საკმაოდ სერიოზულად იმუშავა, უახლოეს მომავალში დაინიშნება ოფიცერი პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე. საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით რეგულირდება ყველაფერი, დაწესებულებას ჩამოყვანილი ჰყავდა ექსპერტები, მათ დადეს შესაბამისი აქტი, დასკვნა. მართალია, ხარვეზების გამოსწორება არ არის ადვილი, მაგრამ დაწესებულება აუცილებლად გააკეთებს ყველაფერს და ავტორიზაციისთვის სათანადოდ მომზადებული იქნება, შესაბამისად, კადრები, რომლებიც აქ მზადდება ღირსეულ ადგილს დაიკავებენ მანგანუმის მრეწველობის წარმოებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს პროფიუნიტში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 7


წინააღმდეგი: 0

